



# სურათი

## კვლავ

### რეპორაჟი!

რიგა, 27 ივლისი (დღეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გრძელდება სტუდენტთა IV საკავშირო ასპარეზობა. ძალისხმევა შევიზიარებთ ჩვესტუტ წინაშე სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი გახდა ყირგიზელი ძალისხმევა ჯ. კარაკეივი (335 კგ). ვ. შურავლითა (რსფსრ) სტუდენტთა თამაშების რეკორდი დაამყარა ატაგვი — 102,5 კგ.

მსუბუქ წონაში პირველი იყო ლენინგრადელი ა. ივანოვი, აზერბაიჯანელი ა. კობინიძე გააუმჯობესა სტუდენტთა თამაშების რეკორდი აკრადში, — აჩვენა 145 კგ. ქვესაშუალო წონაში გაიმარჯვა ს. ვორონცოვი (უკრაინა) — 405 კგ. საპირფარეოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ვ. სეინჩენი IV ადგილზე გამოვიდა. საშუალო წონაში პირველი იყო რ. ლიუბაინი (ომსკი) — 430 კგ. მან თამაშების ორი რეკორდი დაამყარა. ატაგვი — 135 კგ და აკრადში 174 კგ. აზერბაიჯანელმა გ. აივაზოვმა თამაშების რეკორდი გააუმჯობესა აკრადში — 143 კგ. ქვემძიმე წონაში ჩემპიონი ვ. სტეპანჩენკო (ყაზახეთი) გახდა — 442 კგ. საპირფარეოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ჯერჯერობით VI ადგილზეა.

გრძელდება ფრენბურთულთა ტურნირიც. საპირფარეოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებმა დაამარჯვა მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 3:1.

## პრიზიორთა შორის

ტალინი, 27 ივლისი (დღეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო თამაშების გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში. პირველი ადგილი ტალინის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა დაიკავა, მეორე — თბილისის უნივერსიტეტმა, მესამე — საქარფარეოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

## მარცხი ფინალში

ვილნიუსი, 27 ივლისი (დღეშით, ჩვენი სპეც. კორ.). კლასიკური ფინალური ასპარეზობის პირველი მატჩები ძალზე წარმატებულ ითამაშეს საქარფარეოს წარმომადგენლებმა. თბილისის უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა წააგო კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან — 48:66, ხოლო საქარფარეოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენი ქალები დამარცხდნენ ლენინგრადის პილდრეკინიკურ ინსტიტუტთან შეხვედრაში — 38:50.

მარცხით აღინიშნა ჩვენი ვაჟთა გუნდების მატჩებიც: თბილისის უნივერსიტეტის გუნდს მოუგო იფის „პოლიტექნიკა“ (49:42), ხოლო საქარფარეოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დამარცხდნენ თბილისის უნივერსიტეტის კაუნასის „პოლიტექნიკთან“ — 62:64.

# ხის თოფით... ტოპიოფი

სროლა პატარაობიდანვე უყვარს იცის, ყარაღბანას თამაშის დროს ხის თოფით რამდენი თანატოლი „უმსხვერპლია“. მერე ეს იარაღი პნევმატურმა თოფმა შეცვალა. ტირში ფუნჯებით ცდდა ძალებს, ბელურებზე უნადირია. მაგრამ სულ სხვა იყო 1955 წელი. თბილისის ვაჟთა ყოფილ 29-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასიულ სროლით გატაცება შეამჩნია მასწავლებელმა გ. ლენინაშვილმა და ჯაბუკს ნამდვილი თოფი გააცნო. ქველიაშვილის „ძველი“ მეგობრების — წიგნების გვერდით შანანამაც დაიკვივრა ადგილი.

...სწრაფად იზრდებოდა შედეგები. სასკოლო მერხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში შეცვალა. დაიწყო იურიდიული მეცნიერების დაუფლების გზა. გაიხარდა სპორტული მეგობრობის წრე. შოთას დახმარების ხელი გაუწოდეს პ. ლევი-შვილმა და ისტატმა თ. ხერხეულიძემ. წარმატებანი თანდათან გამრავლდა, ფართო მასშტაბები მიიღო, გაცდა ჯერ რესპუბლიკის, მერე კი ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც.

პირველ რესპუბლიკურ რეკორდს მეორე მოჰყვა, მერე მესამე, მეოთხე... შ. ქველიაშვილი მჭიდროდ მიუახლოვდა საბჭოთა სნაიპერების საუკეთესო მაჩვენებლებს. სსრ კავშირის, მსოფლიოს ჩემპიონები აღიარებდნენ ტალანტის გამოჩენას, მაგრამ გრძობდნენ იმ გრივალის მოახლოებასაც, რომელსაც შეეძლო მათი რეკორდების გაცატეხვა.

შიში საფუძვლიანი გამოდგა. ...ტურნე საზღვარგარეთ. ქველიაშვილის თოფი ჰქონდა ბუქარესტის, ვარშაის, ბუდაპეშტის, პელსინისა და სხვა ქვეყნის დედაქალაქების საუკეთესო სასროლელებზე იგი ტყვიას ტყვიამ აჯუნდა და ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა საშობოლოში გახორციელებული გვემეითა და ახალი ამოცანებით.

უკანასკნელ წლებში შოთას ძირითად ამოცანას ტოკიოს ოლიმპიადებზე წასასვლელი საფურის მოპოვება წარმოადგენდა. სსრ კავშირის III სპარტაკიადებზე ნაწილები შედეგებით იგი საბოლოოდ დაწყვიტდა კანდიდატურა რეგებში. რუმინეთში, ფინეთსა და მოსკოვში გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში შედეგების მიხედვით ქართველ მსროლელთა ლიდერი ჩვენი ნაკრების № 1 წევრად იქნა აღიარებული მსხვილკალიბრის შანანანიდან სროლაში და „თქროს თადარიგად“ — მცირეკალიბრისაში.

ასეთია ოლიმპიური გუნდის წევრთა შერჩევის მკაცრი კანონი: მხოლოდ უკანასკნელი სეზონის სტაბილური შედეგები! ქველიაშვილს სწორედ ეს აქვს. მიეყვით თანმიმდევრობით: ბუქარესტი. რუმინეთი — იტალია — სსრ კავშირის მატჩი. პროგრამაში არ იყო მსხვილკალიბრის შანანანიდან სროლა, ამიტომ ისტატს ძალთა გამოცდა მცირეკალიბრისაში მოუხდა. I ადგილი ჩოქელა სროლაში (390



## რეზნი ქლიკვილაი

ქელა, II ადგილი — დგომელა სროლაში (382 ქელა).  
ქელ სინკი. ფინეთისა და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდების, მსოფლიოს ორი საუკეთესო კოლექტივის მატჩზე ჩამოვიდნენ ტყვიით სროლის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე ე. ციმერმანი (გფრ) და მდივანი ა. ლარსენი (შვეიცია). შეჯიბრება სუთ დღეს გაგრძელდა. ამჯერად ქართველი ისტატი თავის ძირითად ამბულაში — მსხვილკალიბრის ნებისმიერი სპორტული შანანიდან სტანდარტზე (3x40) სროლაში გამოდიოდა. ჩოქელა სროლაში 400-დან მხოლოდ 8 ქელა დაჰკარგა, რაც 4 ქელით ადემატება შეედ ე. კვისბერგის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. მანვე II ადგილები მოიპოვა წოლელა (393) და დგომელა (367) სროლაში, ჯამში მას ისეთი შედეგი აღმოაჩნდა, რომელიც მსოფლიოში არავის მოუპოვებია უკანასკნელი რვა წლის მანძილზე — 1.152 ქელა. ეს მ. იტისის საკავშირო რეკორდის გამეორება და ახალი მსოფლიო რეკორდია (ქველი უდრის 1.150 ქელას და ეკუთვნოდა შეედ ა. ჰოლენ-შტინს).

ფინეთში მოპოვებული წარმატების შესანიშნავი დადასტურებაა ის სპეციალური პრიზი — ბროლის დიდი თასი, რომელიც ფინეთის ტყვიით სროლის ფედერაციის პრეზიდენტმა ა. რაილამ გააძლგა შ. ქველიაშვილს, როგორც შეჯიბრების საუკეთესო მსროლელს.

მოსკოვი. ივლისის პირველი რიცხვში. დინამოელთა საკავშირო გუნდური პირველობა. ქველიაშვილი კვლავ შეუდარებელია. 6-პირველი ადგილი. რეკორდები — 5 რესპუბლიკური, 3 — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოსი, 2 საკავშირო. 3 შედეგი მსოფლიო რეკორდებს აღემატება. ქველიაშვილის ნაღვლი კომენტარებს, ცხადია, არ საჭიროებს!

ამიტომაც იყო, რომ ქველიაშვილის შედეგებით კმაყოფილი ჩვენი ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ი. ანდრეევი გულთბილად გადაესვია ქართველ ისტატს და ახალი წარმატებანი უსურვა ნაკრების № 1 წევრს.  
9 აგვისტოს მოსკოვში იწყება საკავშირო ჩემპიონატი. გვჯერა, შ. ქველიაშვილი აქც ისახლებს თავს, შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში, სამატრო შეხვედრებზე იტყვის თავის სიტყვას, მერე კი გზასაც დაგულთავთ ტოკიოსკენ.

## ო. ვალაშვილი

სურათზე: შ. ქველიაშვილი ბელსინის სასროლეზე.

## სარეკორდო მოგზაურობა

საფრანგეთში ორკვირიანი მოგზაურობის შემდეგ საშობოლოში დაბრუნდა ჩვენი ქვეყნის ველოსპედიტთა ოლიმპიური ნაკრები. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებმა საფრანგეთის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ქვეყნის ველოსპედიტთა მატჩს პარიზში, „პარკ დე პრენსის“ ველოტრეკზე 35 ათასი მაყურებელი დაესწრო.

საკლესის კორესპონდენტმა ა. ბიარიუკოვმა რამდენიმე კითხვით მიმართა საბჭოთა გუნდის უფროს მწვრთნელს ვ. ბანავალოვს.

როგორია სსრ კავშირისა და საფრანგეთის ველოსპედიტთა შეხვედრათა შედეგები?

— ორი შეხვედრა პარიზსა და რეიმსში ჩვენ მოვიგეთ, ერთი კი — სენტ-ნაზერში წაგვიგო. საბჭოთა ველოსპედიტების მაჩვენებლები მაინც დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია ჩვენმა ბიჭებმა საფრანგეთის ველოსპედიტების სამი ახალი რეკორდი გააუმჯობესეს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი რეკორდი გამოდევნებით გუნდურ რბოლაში დამყარდა. 4 კილომეტრის და 91 მეტრის გავლას სპორტსმენებმა 4.44,4 მიწაღმეს. ეს ძალზე მაღალი შედეგია. სასაბოგნოა, რომ ასეთი საერთაშორისო კლასის რეკორდი ნაჩვენებ იქნა ტრეკზე, რომელზეც თვენახევარში მსოფლიო პირველობა მოეწყობა. კიდევ ერთი გუნდური რეკორდი დაამყარა ჩვენმა ბიჭებმა — 4.35,1. ამჯერად შედეგი ნაჩვენებ იქნა რბოლაში. აქვე გამოიჩინა თავი ს. მუსკინმა — 4.59,3. ეს შედეგიც ტრეკის ახალი რეკორდია.

რას იტყვით ჩვენს სპორტერებზე?

— საბჭოთა სპორტერებს შევიჩინებ ტრენინგთან და მორეკონსან მოუხდათ, რომლებსაც მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით მესამე-მეოთხე ადგილები უკავიათ. მათთან შეხვედრა ჩვენი სპორტსმენებისთვის კარგი სკოლა იყო. თუ პირველ ხანებში ჩვენ გმარცხდებოდით, უკანასკნელ მატჩში 5 სერიიდან 2 მოვიგეთ. ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ომარ ფსაკაემ. ამ ნიჭიერ ველოსპედიტს დიდი პერსპექტივები აქვს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მოიკოტულებს ტრეკიში. თავი გამოიჩინა 19 წლის ა. კოლოუმევიც.

რა მოვლის ჩვენს გუნდს ოლიმპიადებზე?

— პირდაპირ ამ კითხვზე პასუხს გაცემა ძნელია. ნაკრების ყველა კანდიდატი დამაკმაყოფილებლად არის მომზადებული. ვფიქრობ, რომ რამდენიმე სახეობაში მედლების მოპოვების შანსები გვექნება.

# ზ. ტარკიდი — სოხუმელი ფიგარო

ბოლო ხანს აფხაზეთის კრივის სექციამ საგრძნობლად შეაუსტა მუშაობა, რაც სპორტსმენთა ტექნიკურ მაჩვენებლებსაც დაეჭყო. უკვე კარგა ხანია, აფხაზეთის მოკრებიები არ ირიცხებიან რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა რიგებში.

რატომ მოხდა ასე? რესპუბლიკაში ხომ მაღალი სპეციალიზაციის მწვრთნელები მუშაობენ? ამავე დროს, აფხაზეთის განაღლებს სპორტის განვითარებას და დახმარებას უწევს და ყოველგვარ პირობებს უქმნის ნორმ მოკრებიებს. კარგად არის მოწყობილი ბაზუბი, სპორტსმენები მომარაგებული არიან

ინვენტარით, მაგრამ... სასურველი შედეგი მაინც არ ჩანს.

აი, სწორედ აღნიშნულ საკითხებზე იმსჯელა საქარფარეოს კრივის ფედერაციაში, რომელიც სოხუმში მოაწყო აქტივის სხდომა. გამოიკვია, რომ აფხაზეთში არსებული კრივის სპეციალური სკოლა თავს არ იწუხებს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის. უმოქმედობაში ტონის მიმცემი თვით სკოლის დირექტორი ზ. ტარკილი გამოდგა. იგი აღნიშნულ სკოლაში თურმე მწვრთნელის საქმიანობითაც არის დაკავებული, თანაც მუშაობს „დინამოში“ და საქარფარეოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის

ტის სოხუმის ფილიალში (!). სწორედ ისღა აკლია ტარკილს, რომ როსინის ერთი ცნობილი თაქრის გმარის — ფეგაროს არა დაამღეროს!

ყოველდღიურად ტარკილი 15 საწვრთნელ საათს ატარებს, მაგრამ შედეგი არსად ჩანს. სად არიან მწვრთნელის მიერ გამოზრდილი სპორტსმენები? ვანა სასაცილო და საეალოლო არ არის ის ფაქტი, რომ ზ. ტარკილი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სკოლაში მხოლოდ 4 პირველთაწიგოსანი მოამზადა?

აქტივის სხდომაზე გააკრიტიკეს აგრეთვე მწვრთნელები გ. იაშვი-

ლი, ფ. ხარამბიდი, რ. არშა, რ. შამრაი, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობებს მთელის სერიოზულობით არ ეკიდებიან.

სხდომაზე გამოსულმა ადგილობრივმა მწვრთნელებმა და კრივის აქტივის წარმომადგენლებმა მიიღეს კრიტიკა და უხსლოეს მომავალში მდგომარეობის გამოსწორების პირობა დადეს.

**საქარფარეოს**

ერთი წლის წინათ კავშირგამოშლის უზღვევლის საკვანძო კანტორის მუშაობა კომიტეტმა თავისი ფუნქციონირებისთვის შეიძინა ფრენბურთის ბადე და ბურთი. კანტორაში ახალგაზრდებს გაეზარდა, როგორც იქნა ჩვენთანაც ამუშავდება ერთი სპორტული სექცია...  
მაგრამ სხარული ნაღვრები გამოდგა, მუშათა კომიტეტი

**ბურთი... კარადეშია!**

მხოლოდ ინვენტარის შექმნით დაკმაყოფილდა. მას სრულიად არ აინტერესებს ახალგაზრდობაში სპორტული მუშაობის გავლა.

ფრენბურთის ბადე და ბურთი კარადეშია მაგრამ და უხარებლად ჩაქტილი

**ბ. ალუბაია**  
(ჩვენი კორ.).  
ზუგდიდი.

**იმპერატორი...**

დიდი ხანი არაა, რაც „ლოკო-მორტის“ საბჭოში შეიქმნა ძალისხმობის სექცია, რომელსაც დამსხვერპლად სპორტსმენების დასახლებული მწვრთნელი, სპორტის ისტატი ვ. ბასილაძე. სექციაში უკვე მომზადდა ერთი სპორტის ისტატი, 4 პირველთაწიგოსანი, 12 მეორე და 30 მესამეთაწიგოსანი.

**ი. საბაიშვილი**  
თბილისი.

ნ ა კ რ ე ბ ი  
შ ე უ ღ ბ ა  
წ ვ რ თ ნ ა ს

საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოქიდავება გუნდი უკანასკნელ საშობალოს შეუდგა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ. 2 აგვისტოდან 25 აგვისტომდე ნაკრების წევრები წვრთნას გაივლიან ალშტაში, შემდეგ კი გაემგზავებიან ვლადივოსტოკში და თამაშებამდე დაიწყო ჩინელი დროს იქ გაატარებენ. უკვე საბოლოოდ დადგინდა შეჯიბრების მონაწილეთა სამეულეები ყოველ წინათ კატეგორიაში. აი, ისინიც:

**უმატესი წონა** — ალიევი, ბარსუკოვი, კევორკიანი; **მჩატე წონა** — თედლევი, იბრაჰიმოვი, მუშელიანი; **ქვემსუბუქი წონა** — ხოსოშვილი, ტუგუნოვი, ბაგაევი; **მსუბუქი წონა** — ბერიაშვილი, შანმურადოვი, გუსოვი; **ქვესაშუალო წონა** — სალარაძე, აქსინოვი, ცხოვრებოვი; **საშუალო წონა** — ლომიძე, აგევი, ალბული; **ქვემძიმე წონა** — მედვედი, ლიევი; **ინახოვი; მძიმე წონა** — ივანიცი, ხითარიშვილი, ანდრევი.

ბათუმის სსრული

Table with 6 columns: თ, მ, ფ, წ, ბ, ქ. Rows include 'თბილისი', 'ქუთაისი', 'საქართველო' etc.

3 შუკითხვა მწვრთნელს

ბ. კახალიანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1. ჩვენი გეგმის ძირითადი ნაწილი არ შეესაბამება ამოცანას ასეთი იყო: ტემპი, უმაღლესი ტემპი, რომელსაც უნდა შეერყია მოპირდაპირე გუნდის მთლიანობა, მოეშალა ორგანიზებული ურთიერთმოქმედება საჭარბო მოედანზე, რაც საშუალებას მოგვცემდა კარის იერიში მიხაწილობა მიეღოთ არა მარტო ფორვარდებს, არამედ ნახევარცენტრებსაც. პირნათლად შეასრულა დაელოდა ს. მეტრეველმა, რომელიც თავის დრებიზმს რაციონალურად უხამებდა აქსიომალურ ტემპს. უსარგებლოდ ანერგებდნენ ბურთს, აყოვნებდნენ კარში დარტყმას ცენტრალური თავდასხმელები ვ. ბარჭია და ა. აფშევი, ამასთან ეს უკანასკნელი გერ ასრულებდა შემაჯავურებელი ფორვარდის ფუნქციებს. ნახევარდაცვაში პასიურად გამოიყურებოდა შ. იამანიძე.

2. ყველაზე უფრო მომეწონა ვ. ჩხარტიშვილი, რომელიც კოლექტიურ მოქმედებათა მოთხოვნა თავისი გუნდის თავდასხმაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა გარემარბმა ჯ. ხერხაძემ. მისი საჭარბო დარტყმა და ს. კოტრიკაძის ნახტომი ერთ თამაშად ღირდა, დაცვაში უბრალოდ და სარგებლოდ თამაშობდა ი. ლოსაძე-რიძე.

3. გუნდს აკლდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი. გარდა ამისა, სპორტული ფორმა დაკარგეს წამყვანმა მოთამაშეებმა. აქედან გამომდინარე — დინამოელები არ იყვნენ, როგორც იტყვიან, წესრიგზე. ახლა სხვა საქმეა: კარში ჩადგა ს. კოტრიკაძე, დაცვის თამაში გაცილებით უფრო სტაბილური გახდა მ. ხურცილავას დაბრუნების შემდეგ, ფორმაში შევიდა ს. მეტრეველი. საგრძნობლად ამაღლდა მოთამაშეთა საერთო მორალური განწყობილება და ბრძოლასუნარიანობა. ყოველივე ამის შემდეგ თბილისის „დინამომ“ თავი დააღწია დროებით კრიზისს.

დუგლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის დუგლიორთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვედნენ „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). გამარჯვებს თბილისელებმა — 2:1.

„უზბა“ — „გაზაფხული“

25 ივლისს თბილისში გაიმართა სანტრესო თამაში ნორჩი ფეხბურთელების მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვედნენ თბილისისა და ბათუმის ქუჩების საქალაქო ტურნირებში გამარჯვებული გუნდები — „უზბა“ (მასპინძლები) და „გაზაფხული“ (სტუმრები). შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

3 შუკითხვა მწვრთნელს

ბ. შორაბანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

1. ძალზე უკმაყოფილო ვარ არა მატჩის შედეგით, არამედ ჩვენი გუნდის თამაშით. ტორპედოელებმა გერ შეასრულეს თითქმის ვერც ერთი დავალება (ეს განსაკუთრებით ითქმის თავდასხმაზე, სადაც მხოლოდ ჯ. ხერხაძე თამაშობდა სრული შესაძლებლობით). არაფერი გაუკეთებია ჯ. ხაჯალიას, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ნახევარდაცვა (ს. კუტივაძე, ნ. სარჯველიძე). ეს რგოლი მთლიანად გამოთიშული იყო წინასწარ დასაზუსტებულ სამოქმედო გეგმას. მეტატი რ. ურუშაძემ მიიღო შეფასება „2“. გაშვებული გოლი მისი ტაქტიკური შეცდომის შედეგი იყო. გარდა ამისა, ურუშაძეს სისტემატურად უვარდებოდა ხელში აღებული ბურთი, რაც დამატებით სიძინელებს უქმნიდა დაცვას.

2. „დინამო“ ახლა კარგ ფორმაშია. რა თქმა უნდა, პირველი ილიშვილის ღირსია ს. მეტრეველი, რომელიც მე უძლიერეს გარემარბად მიმაჩნია სსრ კავშირში. კარგად ითამაშა დაცვაში ვ. ცხორველი, ნახევარდაცვაში — გ. სიჭინავაძე და თავდასხმაში — ი. ლოსაძე-რიძე. გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ს. კოტრიკაძის დაბრუნებას მწყობრში.

3. ყოველ გუნდში, ადრე თუ გვიან, დგება თაობათა ცვლის საკითხი. ჩვენს კოლექტივში ასეთი ტოტალური ცვლის პრობლემა ჯერ არ წამოჭრილა, მაგრამ ე. წ. „მომდინარე რემონტი“ საქართველოში იგი მოვახდინეთ, თუ ახალგაზრდა, პერსპექტიულმა მოთამაშემ დროულად არ მიიღო ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება, იგი კარგავს ვაშტაობას, სითამაშეს და უძლიერდება. რამდენიმე ასეთ ფეხბურთელს მივეცი საშუალება გამოეცადა თავის ძალებს და ჩვენი მხრიდან გამართლდა. მათ არ გვიმტყუნეს. კოლექტივისთვის საჭირო იყო რწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში, საჭირო იყო შთანერგვა იმისა, რომ მისი საერთო ძალა საეხებით შეესაბამება დასახული ამოცანის შესრულებას — „ა“ კლასში ადგილის შენარჩუნებას. ტორპედოელებმა ირწმუნეს ეს და, ვფიქრობ, ამოცანას შეასრულებთ.



ორი მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის.

ჯამრთ — ს. მეტრეველს გააქვს ბურთი ტორპედოელთა კარში. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „დინამოს“.

ჯამრთ — ქუთაისელთა მცველი ა. სიამაშვილი (მარცხნივ) და „დინამოს“ ცენტრალური ფორვარდი ვ. ბარჭია ბურთისთვის ბრძოლის დროს.

ნ. გაფრინაშვილი დიდ სტარტზე

გოსკომში, 27 ივლისი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). 21 ნოემბერს კიევში სტარტს აიღებს სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატი. მასში მიწვეულთა არიან 1963 წლის ჩემპიონი შტეინი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები — ბოტვინიკი, კერესი, ტალი, სპასკი, სმისლოვი. დანარჩენ მონაწილეებს გამოავლენს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის პირველობები და ორი ნახევარფინალი, რომლებიც 1 აგვისტოს დაიწყება მინსკა და კიშინიოვში. საქართველოს სპორტული საზო-

გაღობრიობისთვის შეტად საინტერესოა მინსკის ნახევარფინალი, რომლის 18 მონაწილეს შორის იქნება მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინაშვილი და ოსტატი ბ. გურგენიძე. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსგავს ტურნირში ძალებს ცდის მოჭადრაკე ქალი. ნახევარფინალში, საიდანაც ფინალში მხოლოდ 2 გამარჯვებული გადის, მსოფლიო ჩემპიონს მოუწევს შეხვედრები დიდოსტატ სუეტინთან, საერთაშორისო ოსტატებთან ბაგიროვთან და მიკენსთან, ოსტატებთან გურგენიძესთან, პეტერსონთან, ზახარაიანთან და სხვებთან. აქ ვფიქრობ შორის ოსტატობის კანდიდატს ნ. გაფრინაშვილს შეესაბამება ოსტატობა შეასრულოს სპორტის ოსტატის ნორმა ვაუთათვის.

კიშინიოვის ნახევარფინალში ჩვენი რესპუბლიკის სახელით ითამაშებენ ნიქიტიერ ქაბუცი ა. ბოკუჩავა და ოსტატობის კანდიდატი თ. კიკიანი. ფინალში ორი ადგილისთვის ამ ტურნირში იბრძობებენ აგრეთვე საერთაშორისო ოსტატი გიპსლის, ოსტატები კლოვანი, კრუტიანსკი, არულიაი, შაგლოვიჩი და სხვ.

ვიზიტით თურქეთში

გოსკომში, 27 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). თურქეთს გაფრინაშვილი ჩვენი ქვეყნის მეორე ნაკრები გუნდი თავისუფლად კიდაობაში. გუნდის შემადგენლობაში არიან: კავკაზის ორბელიანი, ტუგანოვი, შახმურადოვი, აქსიოლოვი, ავევი, აინაოვი და ლიოვა. პირველი მატჩი ანკარაში თურქეთის მოქიდავებთან 28 ივლისს გაიმართება, ხოლო განმეორებითი შეხვედრა 31 ივლისს, სტამბოლში.

ასეთი თამაში არ შეუძლია შავიფლვისაიკი რყადაბურთაღებს

გასულ კვირას თბილისში, ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში დაიწყო საქართველოს პირველობის თამაშება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის „დინამო“, „ლოკომოტივი“, სპორტკლუბი „ელმა-ვალი“, სოსუმის ნაკრები, ბათუმისა და ქუთაისის „განთიადი“. მერვე მონაწილეა — თბილისის „ბურევესტნიკი“. შეჯიბრება გაიხსნა თბილისის გუნდების — „დინამოსა“ და „განთიადის“ შეხვედრით. დინამოელები სათამაშოდ შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, მათ მატჩი მოიგეს — 6:4.

მთავრად ითამაშეს სპორტკლუბი „ელმა-ვალის“ წყალბურთელებმა ბათუმის „განთიადთან“. რკინიგზელთა გამუდმებული იერიშების წინააღმდეგ ბათუმელმა წყალბურთელებმა ვერაფერი გა-

აწყეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 3:9. გათამაშების პირველი დღის შეხვედრიდან სპორტულად საინტერესო და დაბაბული მხოლოდ ქუთაისის „განთიადისა“ და სოსუმის ნაკრების მატჩი გამოდგა. ქუთაისელმა სპორტსმენებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიეს შავიფლვისპირა ქალაქის წარმომადგენლებს და მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით — 3:4.

გასული კვირის მატჩებმა გვიჩვენეს, რომ, რაც დრო გადის, მით უფრო ქვეილდება ბათუმელი და სოსუმელი წყალბურთელთა თამაშის კლასი. თუ გასულ გუნდში ეს ქალაქები რესპუბლიკურ პირველობაზე ძლიერ გუნდებს „საგინდნენ“, ამჟამად აქაური წყალბურთელების გამოსვლები სულ უფრო უზრუნველყოფა საცურაო აუზით. მრავალი დაპირება კვლავ დაპირებდ რჩება და ქუთაისელი სპორტსმენები კვლავ „უწყლო წყალბურთელები“ როლში გვევლინებიან. აქაური ენთუზიატების და განსაკუთრებით გუნდის მწვრთნელი დ. ხორაგას ენერგიული შრომა რომ არა, ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში სულ ჩაგვდებოდა ეს წარმატები სპორტული სახეობა.

ნაწილობურ რესპუბლიკური მასშტაბის დონისიებებში.

„დინამომ“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — 6:2. ნ. კალანდარიანი.

სურათზე: პირველი კალენდარული დღის შეხვედრის მომენტი თბილისის „დინამოსა“ და „განთიადის“ გუნდებს შორის. განთიადელთა კარში გადის მორიგი ბურთი. ფოტო მ. ზარგარიანი.



# ანგარიში გახდა 5:1

„გიგანტა“ ამ, რიგით VI მატჩს დიდ ხანს ელოდა სპორტული მსოფლიო. და აი, 25-26 ივლისს 1932 წლის ოლიმპიადის ქალაქ კოლან-სე-ლოსის უდიდეს სტადიონ „კოლიუმე-ზე“ 65-70 ათასი მაყურებლის თვალ-წინ კვლავ გაიმართა სეზონის ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრება.

მასპინძლებს პატივით ესატირებოდათ დაკარგული პრესტიჟის აღდგენა და მათთვის ცუდი ტრადიციის დარღვევა. სწორედ ამიტომ ისინი სავანე-ბოდ მოეხადნენ „გიგანტა მატჩის-თვის“.

გაგიჟებით წინა შეხვედრების პირ-ველ დღეა შედეგები. ორჯერ წინ იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები, ორჯერ

**სსრ კავშირი — ამერიკის  
მკლავსანთა მუხამა მატჩი**

— ამერიკელები, ერთსელ კი შედეგი საყაიმო იყო. და მაინც საბოლოოდ მუდამ საბჭოეთის წარმომადგენლები იმარჯვებდნენ.

პირველივე დღე ამერიკელთა წარმა-ტებით აღინიშნა და ეს უპირატესობა მათ ბოლომდე შეინარჩუნეს. მართა-ლია, ქალთა ტურნირი სტუმრებმა მოი-გეს 11 ქულით (59:48), მაგრამ სამა-გიეროდ ჩვენი ვაჭები 42 ქულით და-მარცხდნენ და მატჩიც წაგებულ იქნა — 156:187.

ამერიკელთა გამარჯვება განსაკუთრე-

ბით სენსაციური იყო სტაიურულ დის-ტანციებზე. მათ მოიგეს რბენა 3.000 მეტრზე წინალობით; 5.000 (რ. შუ-ლი — 13.50,2) და 10.000 მეტრზე. ამ უკანასკნელ სახეობაში საშუალო შე-დეგით გაიმარჯვა 18 წლის ჯ. ლინ-გრენმა — 29.17,6 (ლ. ივანოვი გა-მვიდა მეორე ადგილზე — 29.39,8).

საპასუხო სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ლეოველმა სტუდენტმა ლ. ბარ-კოვსკიმ, რომელმაც შეცვალა უქმიფოდ მყოფი მსოფლიო რეკორდსმენი ი. ტერ-უანსისანი: ბარკოვსკისა და ოლიმპი-ური ჩემპიონის რ. ბოსტონის ორთა-ბრძოლაში ლეოველმა აჩვენა 803 სმ, ხოლო ამერიკელმა — 1 სმ-ით ნაკლები. ბარკოვსკი მეორე საბჭოთა სპორტ-

სმენია, რომელიც გაცდა 8 მეტრს. არც ამ მატჩს ჩაუვლია რეკორდების გარეშე. ორი მსოფლიო რეკორდი და-ამყარეს მასპინძლებმა: ფ. პანზენმა ნეი-ლონის ჭოკით გადალახა 528 სმ, ხო-ლო დ. ლიზმა ბირთვი ჰკრა 20,67 მე-ტრზე. ბირთვის კვრამი მეორე ადგი-ლზე გამოსული ვ. ლიბსინის მაჩვენე-ბელი (19,35 მ) ძველ საკავშირო რე-კორდს 12 სმ-ით აღემატება. საკავში-რო რეკორდი დაამყარა აგრეთვე ჭო-კით მსტომელმა გ. ბლიზნეცოვმა — 475 სმ.

კვლავ კარგი შედეგები ჰქონდათ მსოფლიო რეკორდსმენებს ვ. ბრუმელს, დებს — ი. და თ. პრესებს. სიმაღლეზე სტომაში ვ. ბრუმელმა დაძლია 223 სმ და საგრძნობლად ჩამოიტოვა კონკუ-რენტები (მეორე იყო ამერიკელი ჯ. რემბო — 214 სმ). ირინე პრესი უძ-ლიერესი აღმოჩნდა 80 მ თარჯინებში — 10,8 წამი, თამარმა კი გაიმარჯვა ბირთვის კვრასა (18,11 მ) და ბარის ტყორცნაში (55,80). სამაგიეროდ, ამერიკელმა ქალებმა პირველად ძლიერ

მეტოქებს სტადიონზე შექმნა სა-ჭოთა სპორტსმენები რ. ჩენიერ და გ. კოსტენტი. ი. ჩენიერმა და ტა-ყოფილდნენ, პირველი ადგილი კი ე-მონტკომერმა დაისაკუთრა. ქალთა ამ დამარცხებისთვის რეგამი ჩვენმა უროს მტყორცნელებმა აიღეს. ამერიკელთა ლიდერმა პ. კონოლიმ მხოლოდ III ადგილის დაკავება შეძლო — 67,41 მ. მას გაასწრეს რ. კლიმმა (68,80) და გ. კონდრაშოვმა (68,24). ი. ლუსისმა უში ტყორცნა 82,58 მეტრზე, ე. ოზო-ლინამ — 55,08 მეტრზე, ტ. შნელკა-ნოვამ გაიმარჯვა სიგრძეზე სტომაში — 666 სმ. ვ. უაიტმა მასთან 6 სმ წა-აგო.

ასე იყო თუ ისე, ამერიკელებმა ბო-ლოსდაბოლოს შეძლეს თავი დაეღწიათ „მშრალი“ ანგარიშისთვის. ახლა ექვსი მატჩის შემდეგ, ანგარიშია 5:1 საბჭო-თა მძღონების სასარგებლოდ. მატჩის შემდეგ ლოს-ანჯელისში სუპერბოტინგ-მასპინძლებს გამარჯვება ბევრად შე-უწყო ხელი მატჩზე აშშ-ის იუსტიცი-ის მინისტრის რ. კენედის დასრულებით.

## სსრ კავშირი


**მოსკოვი.** სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონე-თის სპორტსმენთა მონაწილეო-ბით ლუტენის სტადიონზე გა-იმართა ავტომობილისტთა სა-ერთაშორისო შეჯიბრება. 1,5 კუბატურის მოდელებში საუკე-თესო იყო მოსკოველი ს. კაზა-კოვის ნამუშევარი, რომელმაც საათში 121 კილომეტრის სისწ-რაფე განავითარა.

**მოსკოვი.** მესტერდურეთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს იტალიელმა ე. მატარელიმ და ს. კალინინმა (სსრ კავშირი) ადგილიდან სროლაში ერთნაირი შედეგი — 195 ქულა აჩვენეს 200 შესაძლებლიდან. უძლიერესის გა-მოსავლენად ჩატარებულმა დამა-ტებითმა სერიაში გამარჯვება იტა-ლიელს მოუტანა.

**ლვოვი.** დამთავრდა საი-პორტო მოტობოლოში მსო-ფლიო პირველობის ნახევარფი-ნალი, რომელშიც მონაწილეობ-დნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლო-ნეთის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. I ადგილი 27 საჯარიმო ქულით საბჭოთა მოტოციკლისტებმა და-იკავეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები. I—II ადგილებზე გა-მოსული კოლექტივები გავიდ-ნენ ფინალში. 23 აგვისტოს ფტრ-ში გაიმართება გადამწყვე-ტი შეჯიბრება.

**ბუქარესტი.** ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ევროპული ტურნი-რი — გალესს თასი 4 ზონაში ტარდება. რუმინეთის დედაქალაქში, ადგილობრივი სპორტსმენების გარ-და, თამაშობენ ბულგარეთის, საბერ-ძინეთის, მონაკოსა და სსრ კავში-რის წარმომადგენლები. აღნიშნული ზონის მთავარი ფავორიტია სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც რუ-მინეთის ძლიერ კოლექტივს უგებს ანგარიშით 2:0 (მეტრელებმა დაა-მარცხა ბოლოვირი — 6:3, 6:2; მე-ორე ქულა ჩვენს გუნდს ივანოვმა მოუტანა). სხვა ზონებიდან ფინალ-ში მონაწილეობის უფლება უკვე გაინაღდეს ჩეხოსლოვაკიამ და ვე-რმანიის ფედერაციულმა რესპუბლი-კამ. უნგრეთის ნაკრები საფრან-გეთს 2:1-ს უგებს.

## თბილისის გუნდი — პირველი



ფოთში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მოტოსპორტში. საპირუთ ადგილებსთვის იმრძოდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავისა და თელავის მოტოციკლისტები. შეჯიბრებას, რომელიც პალასტომის ტბის და მდინარე კაპარკინას შორის მდებარე კუნძულზე ჩატარდა, დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

მთავრად შორის პირველობა თბილისელმა ა. კლდიაშვილმა მოიპოვა. საინტე-რესოდ წარიმართა 175 კმ სმ კლასის მანქანებით შეჯიბრება. ჩემპიონის წოდებ-მა წილად ხვდა რუსთავის წარმომადგენელს რ. ელისაშოვს. 350 კმ სმ კლასის მანქანებით შეჯიბრებაშიც ფინისის ხასი პირველად რუსთაველმა ვ. კლიმენტიე-ვმა გადაკვეთა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო თბილისის სპორტსმენთა კოლექტივი, რო-მელსაც გადაეცა გარდამავალი თასი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ სოხუ-მისა და რუსთავის მოტოციკლისტები.

**ა. ლომაია**  
(ჩვენი კორ.).  
ს უ რ ა თ ე : შეჯიბრების მონაწილენი ტრასაზე.  
ფოტო რ. დვამიჩავასი.

## ოლიმპიურ ტალღაზე

უნგრეთის მოჭიდავეები გემ-სოველებით ემზადებიან ოლიმპიად-ისთვის. აგვისტოს პირველ რიგ-ხევეში ისინი ამხანაგურ მატჩს გა-მართავენ პოლონელებთან. უფრო მოგვიანებით კი შევეციის მოჭიდა-ვეებთან.

აგვისტოს გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ოლიმ-პიური პროგრამის 14 სახეობაში.

იაპონიაში გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც გამარჯვე-ბული უფლება მიეცემა შეიპიტანის ოლიმპიური ჩირადანი ტოკიოს სტადიონზე. კონკურსში გამარჯვე-ბული 65 კილოგრამზე მეტს უნდა იწონიდეს და იყოს 170 სანტიმეტ-რზე მაღალი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფორიკავეთა ოლიმ-პიურ ნაკრებში შეიყვანეს 43 წლის აქსელტორდი და 36 წლის მო-მერი. აღსანიშნავია, რომ ეს სპორ-ტსმენები უკანასკნელი 5 ოლიმპი-ური თამაშის მონაწილენი არიან.

**კოპენჰაგენი.** ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატაზე წარ-მატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. განსაკუთრებით თავი იჩინა ლესლ ს. ჰეიდელბერ-გმა, მ. შუბინამ და ა. სერეინამ. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა სულ მოიპოვეს ოქროს 5, ვერ-ცხლის 3 და ბრინჯაოს 4 მედა-ლი.

**რიგა.** დამთავრდა სსრ კავ-შირის მოფარეკავეთა ოლიმპიური გუნდის საკავშირო შესარჩევი შე-ჯიბრების II ტური (პირველი ტუ-რი გაიმართა სმოლენსკში). ორი ტურის შემდეგ დაშნით მოფარი-კავეთა სამეულში (გუნდში შევა სუთი მოფარეკავე) არიან რიგელი ბ. ხაბაროვი, კიეველი გ. კრისი და თბილისელი გ. კოსტავა. რაპირაში ლიდერობენ გორკელი გ. სვეშნიკო-ვი, სარატოველი ი. შაროვი და თბილისელი ი. ოსიპოვი, ესპან-დროში — მ. რაიკა (რუსურ), ი. მავლიანოვი, ი. რილსკი. ნ. ასა-თიანი (თბილისი) ქეოთხე ად-გილზეა. რაპირის ქალთა შორის სამეულში მოხვდნენ გ. რასტკორო-ვა, ა. ზამელინა (ორივენი — მოს-კოვიდან) და გორკელი ლ. შიშოვა. ამრიგად, ჯერჯერობით საქართვე-ლოს 3 მოფარეკავე იბრძვის ტო-კიოს საგზურისთვის. საკითხი სა-ბოლოოდ გადაწყდება საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც 18 აგვის-ტოს დაიწყება მინსკში.

**ირაპუტსკი.** ტრეკზე დაიწყება სსრ კავშირის პირველობა ვე-ლოსპორტში, რომელიც ამავე დროს ოლიმპიადის წინა შეჩრე-ვით ტურნირია. დიდ ინტერესს იწვევს სპარინტრთა შეჯიბრე-ბა, რომელშიც საქართველოდან გამოვიდნენ ო. ფხაკაძე, ე. შაი-ნოვი და ო. ნიშინაძე. სპარინ-ტრული რბობის ფინალი 31 ივლისს გაიმართება.

**კრაკოვი.** სტუდენტ-მოქა-დრაკეთა მსოფლიო გუნდური პირვე-ლობის ფინალის III ტურში საბ-ჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ისრაელის გუნდი — 3:0 (ერთი პარტია გადადებულა). დიდი წი-ნააღმდეგობა გაუწიეს უნგრულ მო-ქადრაკეებს მონოლუმმა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:2. სამი ტურის შემდეგ უნგრელები 9 ქუ-ლა აქვთ, საბჭოთა მოქადრაკეებს — 8,5.

## ქორწინება შედგა

სროვესული ავტომობილი სტირ-ლინგ მოსი კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში. მას „მუდამ მეორეს“ უწოდებენ, რადგან მსოფლიო ჩემ-პიონატებში, როგორც წესი, ყოველ-თვის მეორე ადგილზე გამოდის.

მოსს მეორე მეტსახელიც აქვს — „იობლიანი“. თავისი კარიერის მან-ძილზე მოსის ათობით ამხანაგი ავ-ტომობილის მსხვერპლი გახდა, თვი-თონ კი 24-ჯერ (!) მოქვეა კატას-ტროფაში და ბევრი სერიოზული ტრა-ვმა მიიღო, მაგრამ ცოცხალი რჩებო-და.

სტირლინგს ჰქონდა მესამე მეტსა-ხელიც — „უსლოტი“.

ამას წინათ გახვებში დაიბეჭდა

ცნობა, რომ სტირლინგს ცოლად გაყ-ვა ახალგაზრდა ნიუიორკელი მდივანი გლენ ბარბარინო. ამასთან ერთად მო-ვიდა ცნობა, რომ მოსმა სამუდამოდ მიატოვა პროფესიული სპორტი. საქმე იმაშია, რომ ეს ელენს დიდი ხანია მოუთხოვია მოსისთვის.

სტირლინგი დიდ ხანს ყოყმანობდა (რობოლებს ხომ საკმაო თანხა მოქპონ-და!), მაგრამ, როგორც იქნა, გა-დაწყვიტა და ქორწინება შედგა.

— მე ყოველთვის მიწოდება მისი მეუღლე ყოფილიყავი და არა ქერი-ვი. ამიტომ წაუყუყუე მას ასეთი პირო-ბა, — განუცხადა ბარბარინომ ჟურ-ნალისტებს.

## დოკინგისათვის-ცინხე

საფრანგეთის მი-ნისტრთა კაბინეტის სესიონზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა პრეზი-დენტ დე გოლის თავმჯდო-მარობით, გამოვიდა ახალ-გაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი კომისა-რი მორის ერსკოვი. ერსკოვმა წინადადება შეიტანა მი-

ღონ დოკინგის ამრძალავი კანონპროექტი, რომელიც მოამზადეს წამყვანმა ფრან-გმა სპორტულმა მოღვაწე-ებმა.

„ჩვენი ქვეყნის სტადიო-ნებზე, — თქვა მომხსენე-ბელმა, — თქვა მომხსენე-ბელმა, — ხშირად ნაწავთ სამარცხინო სცენებს, როცა ენერგიით სავსე სპორტსმე-

ნი ქანცამოლეულია და ძლიერ მილასლასებს. ეს დო-კინგია! საქმე იქამდე მივი-და, რომ მწვრთნელებმა და სპორტსმენთა შორის იღება ხელშეკრულება აღმზნება-ნი ნარკოტიკების მიღება-ზე, რასაც სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო“.

მინისტრთა კაბინეტმა და-

ანალიზისთვის ჩააბაროს სისლო, ნერწყვი და ა. შ. სპორტსმენების მომარაგები-სთვის აღმზნები საშუა-ლებებით მწვრთნელებს მიე-ცემა ერთი წლით პა-ტიმობა, ხოლო დოკინგის მიღებაში გამოაშკარავებულ სპორტსმენებს — სამე-რტსმენი, რომელიც შემწ-ნეული იქნება დოკინგის მიღებაში, ვალდებულია პი-რველი მოთხოვნისთანავე

## პილავ პრტი მსხვერპლი

ამას წინათ მანიაში (ფალი-შინები) გაიმართა საშუალო წონის პროფესიულ მოკრივეთა მატჩი გა-ჩინას (აშშ) და რომერს (ფილიპინ-ები) შორის.

მეოთხე რაუნდში მსაჭმა ნოკა-უტი აღნიშნა — რომერმა წაოლ-

გომა ვერ შეძლო. იგი სასწრაფოდ გაგზავნეს საავადმყოფოში და ამ-ჟამად სიცილიის საფრთხის წინა-შეა. გადარჩენის შემთხვევაში რო-მერი სამუდამოდ გამოეთხოვება სპორტს და შესაძლოა, ხეიბარი დარჩეს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტი — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 8-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუ-ხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასსპირაჟ-ფიკალური, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომცემი — 3-81.

## „დინამოს“ სტადიონი

**დღეს!**

**ფინანსური**

სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასი (II ჯგუფის II ქვეჯგუფი)

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ურალზში“ (ხვერდლოვსკი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.